

სარჩევი

<i>კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....</i>	<i>2</i>
<i>კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....</i>	<i>3</i>
<i>კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....</i>	<i>4</i>
<i>სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</i>	<i>5</i>

შპს “ს.გ.”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31/12/2021</u>	<u>31/12/2020</u>	<u>31/12/2019</u>
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	6	288,184	423,491	158,183
გადახდილი ავანსები	7	688,782	866,468	93,233
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	1,668,675	1,014,069	1,175,968
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	3,206,894	2,814,399	2,520,278
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10	319,316	19,296	27,422
სულ მიმდინარე აქტივები	-	6,171,851	5,137,724	3,975,084
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	10,881,577	7,168,272	6,563,063
არამატერიალური აქტივები	12	2,299	2,482	2,666
სულ გრძელვადიანი აქტივები	-	10,883,876	7,170,755	6,565,729
სულ აქტივები	-	17,055,727	12,308,478	10,540,813
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	1,569,416	910,490	1,389,039
მიღებული ავანსები		26,175	51,318	13,765
საგადასახადო ვალდებულებები		-	163,055	25,740
მოკლევადიანი სესხები	14	123,735	57,613	46,661
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		624	1,813	890
სულ მიმდინარე ვალდებულებები	-	1,719,950	1,184,289	1,476,096
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	14	11,541,554	8,593,285	7,416,171
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	11,541,554	8,593,285	7,416,171
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,630,649	2,285,335	1,975,189
გაუნაწილებელი მოგება		285,398	(290,439)	(474,429)
სულ მფლობელების კაპიტალი		2,916,047	1,994,895	1,500,759
არამაკონტროლებელი წილი		878,177	536,010	147,787
სულ საკუთარი კაპიტალი	-	3,794,224	2,530,905	1,648,547
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	-	17,055,727	12,308,478	10,540,813

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:


შპს "ს.გ."
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31/12/2021</u>	<u>31/12/2020</u>	<u>31/12/2019</u>
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	6	288,184	423,491	158,183
გადახდილი ავანსები	7	688,782	866,468	93,233
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	1,668,675	1,014,069	1,175,968
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	3,206,894	2,814,399	2,520,278
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10	319,316	19,296	27,422
სულ მიმდინარე აქტივები	-	6,171,851	5,137,724	3,975,084
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	10,881,577	7,168,272	6,563,063
არამატერიალური აქტივები	12	2,299	2,482	2,666
სულ გრძელვადიანი აქტივები	-	10,883,876	7,170,755	6,565,729
სულ აქტივები	-	17,055,727	12,308,478	10,540,813
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	1,569,416	910,490	1,389,039
მიღებული ავანსები		26,175	51,318	13,765
საგადასახადო ვალდებულებები		-	163,055	25,740
მოკლევადიანი სესხები	14	123,735	57,613	46,661
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		624	1,813	890
სულ მიმდინარე ვალდებულებები	-	1,719,950	1,184,289	1,476,096
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	14	11,541,554	8,593,285	7,416,171
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	11,541,554	8,593,285	7,416,171
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,630,649	2,285,335	1,975,189
გაუნაწილებელი მოგება		285,398	(290,439)	(474,429)
სულ მფლობელების კაპიტალი		2,916,047	1,994,895	1,500,759
არამაკონტროლებელი წილი		878,177	536,010	147,787
სულ საკუთარი კაპიტალი	-	3,794,224	2,530,905	1,648,547
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	-	17,055,727	12,308,478	10,540,813

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:



შპს “ს.გ.”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი 2021 წელი</u>	<u>31 დეკემბერი 2020 წელი</u>
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	15	16,541,426	10,647,591
შემოსავალი მომსახურებიდან	15	1,135,232	1,079,790
სულ საოპერაციო შემოსავლები	-	17,676,658	11,727,381
თვითღირებულება	16	(15,349,582)	(8,959,606)
პერსონალის დანახარჯი	16	(263,990)	(235,698)
იჯარის ხარჯი	16	(82,933)	(88,156)
ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	16	(83,881)	(68,558)
ცვეთა და ამორტიზაცია	16	(188,015)	(189,946)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(286,836)	(261,555)
სულ საოპერაციო ხარჯები	-	(16,255,238)	(9,803,519)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	-	1,421,420	1,923,862
ფინანსური შემოსავლები	-	2,318	25,673
ფინანსური დანახარჯები	17	(755,036)	(651,838)
წმინდა მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან და გადაფასებებიდან	-	241,512	(669,598)
უარყოფითი საკუროსო სხვაობიდან და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	18	16,275	39,613
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	-	(8,484)	(95,501)
-	-	(503,415)	(1,351,650)
მოგება დაბეგრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე	-	918,005	572,212
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	918,005	572,212
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	918,005	572,212
განეკუთვნება მფლობელს	-	575,838	183,990
არამაკონტროლებელი წილი	-	342,167	388,222

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი:

შპს "ს.გ"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში


კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021 წელი	31 დეკემბერი 2020 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	15	16,541,426	10,647,591
შემოსავალი მომსახურებიდან	15	1,135,232	1,079,790
სულ საოპერაციო შემოსავლები		17,676,658	11,727,381
თვითღირებულება	16	(15,349,582)	(8,959,606)
პერსონალის დანახარჯი	16	(263,990)	(235,698)
იჯარის ხარჯი	16	(82,933)	(88,156)
ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	16	(83,881)	(68,558)
ცვეთა და ამორტიზაცია	16	(188,015)	(189,946)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(286,836)	(261,555)
სულ საოპერაციო ხარჯები		(16,255,238)	(9,803,519)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		1,421,420	1,923,862
ფინანსური შემოსავლები		2,318	25,673
ფინანსური დანახარჯები	17	(755,036)	(651,838)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან და გადაფასებებიდან		241,512	(669,598)
უარყოფითი საკურსო სხვაობიდან და სხვა		-	-
გაუთვალისწინებელი ხარჯები		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	18	16,275	39,613
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი		(8,484)	(95,501)
		(503,415)	(1,351,650)
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		918,005	572,212
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		918,005	572,212
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		918,005	572,212
განეკუთვნება მფლობელს		575,838	183,990
არამაკონტროლებელი წილი		342,167	388,222

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი:



კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,975,189	(474,429)	1,500,759	147,787	1,648,547
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	310,146		310,146		310,146
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		183,990	183,990	388,222	572,212
განაწილებული დივიდენდი			-		-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,285,335	(290,439)	1,994,895	536,010	2,530,905
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	345,314		345,314		345,314
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		575,838	575,838	342,167	918,005
განაწილებული დივიდენდი		-	-		-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,630,649	285,398	2,916,047	878,177	3,794,224

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:


შპს "ს.გ"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,975,189	(474,429)	1,500,759	147,787	1,648,547
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	310,146		310,146		310,146
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		183,990	183,990	388,222	572,212
განაწილებული დივიდენდი			-		-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,285,335	(290,439)	1,994,895	536,010	2,530,905
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	345,314		345,314		345,314
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		575,838	575,838	342,167	918,005
განაწილებული დივიდენდი			-		-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,630,649	285,398	2,916,047	878,177	3,794,224

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ჯგუფი შედგება შპს „ს.გ.“ (მშობელი კომპანია), და მისი შვილობილი კომპანია შპს „ევრაზ სტილი“-სგან, რომელშიც „მშობელი კომპანია ფლობს 51%. შპს „ევრაზ ტილი“ დაარსდა 2018 წლის 23 თებერვალს.

ჯგუფის შექმნის თარიღია 23/02/2018 წელი.

შპს „ს.გ.“, (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო ნომრით 401991760 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2013 წლის 26 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, სტანისლავსკის ქ.N12.

შპს „ს.გ.“-ს ძირითადი საქმიანობაა, უძრავი ქონების იჯარით გადაცემა. კომპანიის დამფუძნებლები არიან ნინო აფციაური (პ/ნ 01024013328) 30%-იანი წილის მფლობელი და საბა აფციაური (პ/ნ 01924097624) 70%-იანი წილის მფლობელი. კომპანიის დირექტორია ვალოდია დათუნაშვილი (პ/ნ 13001002302).

შპს „ევრაზ ტილი“ (შვილობილი კომპანია) საიდენტიფიკაციო ნომრით 402077729, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2018 წლის 23 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სტანისლავსკის ქ.N 12

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2022 წლის 27 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები

ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების

შპს “ს.გ.”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, თუმცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული შეღავათი, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს არ წარადგინონ ფულადი სახსრების ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შვილობილი კომპანია არის ის ორგანიზაცია, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე. შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დროს

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფი“ მომგებიანია, ასევე „ჯგუფი“ წარსულში მომგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

1. „ჯგუფი“ წარსულშიც და დღესაც მომგებიანია.
2. 2021 წელს „ჯგუფმა“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
3. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „ჯგუფი“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) უცხოური ვალუტა

„ჯგუფის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. უცხოურ

ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ჯგუფის მიერ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი /1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766

b) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „ჯგუფი“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „ჯგუფი“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii. ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

„ჯგუფის“ მიერ განსაზღვრულია აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, რომლის მიღებას მოელის საწარმო ამ აქტივისაგან მისი სასარგებლო გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
შენობები	15-20
მანქანა-დანადგარები	5-12
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

iii. აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

c) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივი სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

„ჯგუფი“ არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

„ჯგუფი“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

d) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

e) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით, ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. „ჯგუფი“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები

იმ თარიღისთვის, რომლითაც „ჯგუფი“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „ჯგუფი“ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრებს და მისი ექვივალენტები.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც „ჯგუფმა“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „ჯგუფი“ აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. „ჯგუფი“ ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „ჯგუფი“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. „ჯგუფის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სესხის მიღების ვალდებულებებს.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

f) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

შპს “ს.გ.”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „ჯგუფი“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „ჯგუფის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„ჯგუფის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

„ჯგუფი“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

გ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ჯგუფს, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა ჯგუფის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლი ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

h) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

i) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „ჯგუფს“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით,

შპს “ს.გ.”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი.

j) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. „ჯგუფის“ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

k) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

l) ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

m) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში

შპს “ს.გ.”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს.

ბალანსის ახსნა-განმარტებები

შენიშვნა: 6

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ნაღდი ფული სალაროში	4,226	3,532	3,642
ფული საბანკო ანგარიშებზე	283,957	419,959	154,541
სულ	288,184	423,491	158,183

შენიშვნა: 7

გადახდილი ავანსები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	688,782	866,468	93,233
სულ	688,782	866,468	93,233

შპს “ს.გ.”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა: 8

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
საქონელი	1,618,836	969,400	1,159,817
ნედლეული და მასალები	49,839	44,669	16,151
სულ	1,668,675	1,014,069	1,175,968

შენიშვნა: 9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,194,540	2,811,865	2,519,957
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	12,354	2,534	321
სულ	3,206,894	2,814,399	2,520,278

შენიშვნა: 10

სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	416	1,506	3,093
წინასწარ გადახდილი გადასახადები	245,458	-	6,540
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	73,442	17,790	17,790
სულ	319,316	19,296	27,422

შენიშვნა 11 ძირითადი საშუალების მოძრაობის ანგარიში

მთლიანი საბალანსო ღირებულება	მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
მთლიანი საბალანსო მდგომარეობა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,379,519	261,023	2,879,515	394,033	30,768	144,172	27,396	7,116,427
შემოსვლა 2020 წელს	-	710,461	507,693	92,383	3,874	42,091	4,823	1,361,325
გასვლა 2020 წელს	-	(472,532)	(98,192)	(23)	-	(508)	(8)	(571,263)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,379,519	498,952	3,289,016	486,393	34,642	185,754	32,212	7,906,488
შემოსვლა 2021 წელს	63,416	3,783,765	7,060	30,047	1,607	14,384	465	3,900,743
გასვლა 2021 წელს	-	-	-	-	(114)	(271)	-	(385)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,442,935	4,282,717	3,296,076	516,440	36,136	199,867	32,677	11,806,847
ცვეთა გაუფასურება								-
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(378,846)	(82,182)	(17,820)	(71,750)	(2,766)	(550,598)
დარიცხვა 2020 წლის განმავლობაში	-	-	(119,822)	(43,293)	(2,975)	(21,254)	(2,418)	(187,344)
გასვლა 2020 წელს	-	-	4,910	-	-	-	-	4,910
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(493,758)	(125,476)	(20,795)	(93,004)	(5,184)	(738,216)
დარიცხვა 2021 წლის განმავლობაში	-	-	(114,423)	(47,127)	(3,345)	(20,090)	(2,848)	(187,832)
გასვლა 2021 წლის განმავლობაში	-	-	-	-	778	-	-	778
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-		(608,181)	(172,602)	(23,362)	(113,094)	(8,031)	(925,270)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
1 იანვარი 2020 წელი	3,379,519	261,023	2,500,670	311,850	12,948	72,423	24,630	6,563,063
31 დეკემბერი 2020 წელი	3,379,519	498,952	2,795,258	360,917	13,847	92,751	27,028	7,168,272
31 დეკემბერი 2021 წელი	3,442,935	4,282,717	2,687,895	343,838	12,774	86,773	24,645	10,881,577

შენიშვნა 12 არამატერიალური აქტივი

მთლიანი საბალანსო ღირებულება	პროგრამა	ჯამი
მთლიანი საბალანსო მდგომარეობა	3,767	3,767
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		
შემოსვლა 2020 წელს	-	-
გასვლა 2020 წელს	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,767	3,767
შემოსვლა 2021 წელს	-	-
გასვლა 2021 წელს	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,767	3,767
ცვეთა გაუფასურება		-
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,101)	(1,101)
დარიცხვა 2020 წლის განმავლობაში	(183)	(183)
გასვლა 2020 წელს	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,285)	(1,285)
დარიცხვა 2021 წლის განმავლობაში	(183)	(183)
გასვლა 2021 წელს	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,468)	(1,468)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2020 წელი	2,666	2,666
31 დეკემბერი 2020 წელი	2,482	2,482
31 დეკემბერი 2021 წელი	2,299	2,299

შენიშვნა: 13
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,569,416	910,490	1,389,039
სულ	1,569,416	910,490	1,389,039

შპს “ს.გ.”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა: 14
სესხები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მოკლევადიანი საბანკო სესხი	123,735	57,613	46,661
გრძელვადიანი საბანკო სესხი	4,143,650	1,906,331	1,773,733
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი	7,397,903	6,686,954	5,642,438
სულ	11,665,289	8,650,898	7,462,832

სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

შენიშვნა: 15
საოპერაციო შემოსავლები

	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	16,541,426	10,647,591
შემოსავალი მომსახურებიდან	1,135,232	1,079,790
სულ	17,676,658	11,727,381

შენიშვნა: 16
საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15,349,582	8,959,606
შრომის ანაზღაურება	263,990	235,698
იჯარის ხარჯი	82,933	88,156
ტრანსპორტირების ხარჯი	83,881	68,558
ცვეთა და ამორტიზაცია	188,015	189,946
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-
დანადგარების რემონტის ხარჯი	2,984	5,294
საპენსიო ხარჯი	8,010	8,832
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	3,061
საკონსულტაციო ხარჯი	-	847
საგადასახადო ხარჯი	62,591	45,278
საბანკო ხარჯი	9,917	19,892
ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯი	13,379	9,808

შპს “ს.გ.”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	-	2,354
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	120,421	69,643
სხვა საოპერაციო ხარჯი	69,534	96,546

სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	286,836	261,555
---	----------------	----------------

სულ	16,255,238	9,803,519
------------	-------------------	------------------

შენიშვნა: 17
ფინანსური დანახარჯები

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	755,036	651,838
სულ	755,036	651,838

შენიშვნა: 18
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი

	2021	2020
საშემოსავლო შეღავათი	16,275	19,533
შენობის რეკონსტრუქციის შედეგად დარჩენილი მასალა	-	20,080
სულ	16,275	39,613

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დირექტორი:

შპს "ს.გ."

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	-	2,354
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	120,421	69,643
სხვა საოპერაციო ხარჯი	69,534	96,546
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	286,836	261,555
სულ	16,255,238	9,803,519

შენიშვნა: 17
ფინანსური დანახარჯები

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	755,036	651,838
სულ	755,036	651,838

შენიშვნა: 18
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი

	2021	2020
საშემოსავლო შეღავათი	16,275	19,533
შენიშნის რეკონსტრუქციის შედეგად დარჩენილი მასალა	-	20,080
სულ	16,275	39,613

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დირექტორი:

